განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ახალი და უახლესი ისტორია
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
17.01.18

დასკვნის წარდგენის თარიღი:
28.02.18

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	231187168
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„ახალი და უახლესი ისტორია“
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ისტორიის დოქტორი 100405
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ერეკლე ასტახიშვილი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯიქია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯიმშერ ჩხვიმიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. უნივერსიტეტი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1. რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის სწავლების ენა ქართულია. პროგრამის დანერგვის საფუძველია ისტორიის სწავლის, სწავლების ხარისხის და კვლევის თანამედროვე დონის დეფიციტი. ასევე, მომავალში მისი განვითარების სურვილი და საჭიროება. პროგრამის მიზანია მსოფლიოს და საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობაში კვალიფიციური კადრების მომზადება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 17 იანვარს. ვიზიტამდე, 15 იანვარს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 17 საათზე და 20 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 17 იანვარს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

  17 იანვარს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დოქტორანტების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია რეგულაცია უნივერსიტეტის პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამაზე მიღების წინაპირობას წარმოადგენს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი, მისაღები გამოცდების ჩაბარება სპეციალობაში (საქართველოს ახალი და უახლესი

ისტორია, მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია) და უცხო ენის (ინგლისური, რუსული) გამოცდის ჩაბარება B2 დონეზე.

- ვინაიდან, მხოლოდ რუსული ენის ცოდნით პრაქტიკულად შეუძლებელია თანამედროვეობის შესატყვისი კვალიფიკაციის ისტორიკოსად ჩამოყალიბება, მიზანშეწონილია პროგრამაზე მიღების აუცილებელ პირობაში მოხდეს კორექტირება და რუსულის მაგივრად სავალდებულო გახდეს ინგლისური, ფრანგული, ან გერმანული ენის ცოდნა B-2-ის დონეზე.
- სწავლის შედეგები ორიენტირებულია შრომის ბაზრის მიერ მოთხოვნად, საქართველოს და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე კადრების მომზადებაზე. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ცენტრებთან, რეგიონში არსებულ საჯარო სკოლებთან, ასევე თელავის არქივთან, რაც კარგ საფუძველს ქმნის კურსდამთავრებულთა მომავალი დასაქმების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმებულია თელავის უნივერსიტეტში (მათ შორის წამყვან პოზიციაზე).
- უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა დოქტორანტების სურვილი სასწავლო პროცესის დღის მეორე ნახევარში გადატანასთან დაკავშირებით (დოქტორანტების უმეტესობა დასაქმებულია საჯარო სკოლებში).
- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის, პროგრამების და აქტივობების შესახებ. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში და ასევე, სხვადასხვა კვლევით პროექტში. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო პრაქტიკას სპეციალობაში უნივერსიტეტის ფარგლებში (ლექციის ჩატარება, შუალედური გამოცდისთვის საკითხების/ტესტების მომზადება, სტუდენტთა შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ნაშრომების გასწორება, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა). უნივერსიტეტი ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. ამავე დროს, სასურველია ზოგადად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და პროგრამის მესვეურთა მეტი გააქტიურება დასაქმებისა და კარიერული ზრდის, ასევე მეტი ზრუნვა მომავალი დოქტორების განათლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის გაზრდაზე.
- უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პროცესის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების აკადემიური პერსონალით. აკადემიური პერსონალი შერჩეულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის წარმატებულად განხორციელებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სასწავლო კურსის მიწოდება

ხდება სილაბუსის მიხედვით, რომელშიც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოძველებულია. მითითებულია ძირითადად საბჭოთა პერიოდში (მათ შორის XX საუკუნის 50-იან წლებში) გამოცემული ლიტერატურა. არ არის მითითებული ბოლო პერიოდში საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაში გამოცემული საყურადღებო ნაშრომები. სილაბუსის ავტორმა განგვიმარტა, რომ ლიტერატურა განახლებულია და აღნიშნული ხარვეზი გასწორებული. ის, რომ ლიტერატურა უკვე შეძენილია, დადასტურდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დათვალიერებით.

რეკომენდაციები

- გადამუშავდეს სილაბუსი საგანში საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია. სილაბუსი იყოს პრობლემებზე ორიენტირებული. მოხდეს მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება და აისახოს შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა. პირველწყაროების აქტიური გამოყენება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიაში და სემინარი I-ში და ასახვა სილაბუსებში.
- უნივერსიტეტის მიერ, რეაკრედიტაციისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ შეძენილი თანამედროვე სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურის ასახვა სილაბუსებში.
- მოხდეს შეფასების მეთოდების/კრიტერიუმების დივერსიფიკაცია საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობაში სავალდებულოდ განისაზღვროს მხოლოდ ინგლისური, ფრანგული, ან გერმანული ენის სავალდებულო ცოდნა B-2-ის დონეზე.
- სასწავლო კომპონენტი შემცირდეს 60 კრედიტიდან 45 კრედიტამდე. 10 კრედიტიანი საგნების შემცირება 5 კრედიტამდე და კვლევითი კომპონენტისათვის 10 კრედიტის დამატება. სავალდებულო კურსი: „სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ გაერთიანდეს არჩევით საგანთან „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ და გადავიდეს არჩევით კურსებში. გამოთავისუფლებული 15 კრედიტი დაემატოს კვლევით კომპონენტს და 120-ის ნაცვლად გახდეს 135 კრედიტი. არჩევით საგნებად დაემატოს: ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია.

- უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს კურსამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობაზე, არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ ფართო მასშტაბით. სასურველია უნივერსიტეტმა მეტად განავითაროს კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- „სემინარ 1“-ში და „სემინარი 2“-ში ჩამოთვლილ თემატიკას მიეთითოს სიტყვა „სავარაუდო“.
- უცხოელი, დარგის სპეციალისტების მოზიდვა სალექციო კურსის, სემინარების, ვორკშოპების, თუ სხვა სასწავლო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
- სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების აქტიური ხელშეწყობა (მათ შორის უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა).
- სასურველია აკადემიური პერსონალის ნაწილმა (ორი პროფესორი) კიდევ უფრო გააფართოვოს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციების გეოგრაფიული ჩარჩოები და არ შემოიფარგლოს რუსეთის ფედერაციით და აზერბაიჯანით.
- სასურველია ინდივიდუალური ბიუჯეტის შემუშავება შესაძლო რისკების გათვალისწინებით.
- სასწავლო პროგრამებისა და პროგრამის სილაბუსების შეფასების მიზნით სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკად. პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის საშუალებაა კითხვარ-ბარათები. სასურველია, ასევე, მსგავსი გამოკითხვის კითხვარების შევსება შესაძლებელი იყოს დისტანციურად ონლაინ, ელექტრონული სახით რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
- სავალდებულო გახდეს დისერტანტისათვის ავტორეფერატის დაგზავნა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.
- პროგრამაში ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისათვის დაწესდეს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა.
- სასურველი იქნება ფართოდ დაინერგოს სწავლებისას აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზანია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე კადრის მომზადება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ისტორიის მიმართულებით. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას. დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა საკვლევი თემის ფარგლებში წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა კვალიფიციურად მოიძიოს და დაამუშაოს. კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მუზეუმებში, არქივებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში და სხვ. პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ თელავის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსი „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“ 10 კრედიტიანია და მოიცავს 250 საათს (48 საათი საკონტაქტო, 202 საათი დამოუკიდებელი მუშაობისათვის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი პრეზენტაცია, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეიცავს სერიოზულ ხარვეზს (მაგალითად, საქართველოს ისტორიის ნარკვევების 6-7-8 ტომები მითითებულია ძირითად ლიტერატურაში. აღნიშნული წიგნები დღეისათვის მოძველებულია და აგებულია ლენინურ-მარქსისტულ იდეოლოგიაზე. შესაბამისად, აღნიშნული ლიტერატურა როგორც ძირითადი სახელმძღვანელო მიზანშეწონილი არ არის თანამედროვე სწავლების პროცესში. თუმცა სილაბუსის ავტორმა განაცხადა, რომ ლიტერატურის ჩამონათვალი განახლებულია და შესაბამისი ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რაც დადასტურდა კიდეც. სილაბუსში მითითებული საკითხების სრულფასოვნად და სიღრმისეულად დამუშავება ერთი სემესტრის ფარგლებში შეუძლებელია. სილაბუსის ავტორმა განგვიმარტა, რომ ის ვერ ასწრებს ყველა საკითხის დამუშავებას სემესტრის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფმა შესთავაზა პროგრამის ხელმძღვანელს, რომ აღნიშნულ კურსს დარქმეოდა მაგალითად „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის ძირითადი პრობლემები“ და აქცენტირება გაკეთდეს ცალკეულ საკითხებზე, თუმცა მან არ გაიზიარა ექსპერტთა მოსაზრება. სტუდენტების თხოვნითა და მათი ინტერესებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საგანი პრობლემებზეა ორიენტირებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი 5 კრედიტამდე შემცირება და გამოთავისუფლებული საათების დამატება სტუდენტის კვლევით კომპონენტში.

ამავე დროს პროგრამაზე მიღების წინაპირობად ისტორიაში გამოცდის ჩაბარებისას კანდიდატს მოეთხოვება წინასწარ მისთვის ცნობილი საკითხების ცოდნა (ლიტერატურის მითითებით). ეს საკითხები ემთხვევა სილაბუსში მითითებულ სემესტრის განმავლობაში შესასწავლ საკითხებს. გამოდის, რომ აპლიკანტი აბარებს და შემდგომ როგორც დოქტორანტი, სემესტრის განმავლობაში, იმავე ლიტერატურით სწავლობს იგივე საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხები მას დიდი ალბათობით უკვე შესწავლილი აქვს ბაკალავრის ან/და მაგისტრატურის საფეხურებზე. შესაბამისად, სასურველია არ ემთხვეოდეს მისაღები გამოცდების თემატიკა სილაბუსში წარმოდგენილ თემატიკას ან სილაბუსში მოცემული ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს, რათა დოქტორანტს მოცემული საკითხების სიღრმისეულად დამუშავება შეეძლოს. სასწავლო კურსის შინაარსი

ვერ უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია“ 10 კრედიტიანია და მოიცავს 250 საათს (50 საათი საკონტაქტო, 200 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი პრეზენტაცია, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას. სტუდენტების თხოვნითა და მათი ინტერესებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საგანი პრობლემებზეა ორიენტირებული, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი 5 კრედიტამდე შემცირება და გამოთავისუფლებული საათების დამატება სტუდენტის კვლევით კომპონენტში.

სასწავლო კურსი „სემინარი 1“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (35 საათი საკონტაქტო, 90 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსში ჩამოთვლილია 7 საკითხი. მაგალითად ერთ-ერთ საკითხად მითითებულია „პოლიტიკური პარტიების შექმნა“. ლიტერატურაში კი არ იყო მითითებული ამ პრობლემატიკაზე მომუშავე ავტორების არცერთი ნაშრომი. ამაზე განგვიმარტეს, რომ ეს ხარვეზი უკვე გამოსწორებულია. ბიბლიოთეკის დათვალიერებისას ეს დადასტურდა. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა სასწავლო კურსის ავტორს დაუსვეს კითხვები, თუ რა პრინციპით შეირჩა მხოლოდ აღნიშნული საკითხები, რაზეც ავტორმა გვიპასუხა, რომ ეს საკითხების მხოლოდ სავარაუდო ჩამონათვალია. სწავლების პროცესში ხდება აქცენტირება იმ საკითხებზე, რომლებითაც, დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე, დოქტორანტები არიან დაინტერესებული. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „სემინარი 2“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (35 საათი საკონტაქტო, 90 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსში ჩამოთვლილია 11 საკითხი. ექსპერტთა ჯგუფმა დაუსვა კითხვა სასწავლო კურსის განმახორციელებელს თუ რა პრინციპით შეარჩია აღნიშნული საკითხები. მან განგვიმარტა, რომ ეს საკითხების სავარაუდო ჩამონათვალია. სწავლების პროცესში ხდება აქცენტირება იმ საკითხებზე, რომლებითაც, დისერტაციის თემატიკიდან გამომდინარე, დოქტორანტები არიან დაინტერესებული. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (34 საათი საკონტაქტო, 91 საათი დამოუკიდებელი მუშაობის).

სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლების ელემენტები. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „მეცნიერული კვლევისა და წერის მეთოდები“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (50 საათი საკონტაქტო, 75 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი, ელექტრონული სწავლება. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „პროფესორის ასისტენტობა“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (31 საათი საკონტაქტო, 94 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი პრეზენტაცია, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (34 საათი საკონტაქტო, 91 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სწავლების ელემენტები. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „მენეჯმენტი“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (53 საათი საკონტაქტო, 72 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, წიგნზე მუშაობის მეთოდი და ა.შ. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ 5 კრედიტიანია და მოიცავს 125 საათს (33 საათი საკონტაქტო, 92 საათი დამოუკიდებელი მუშაობის). სწავლებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, პრეზენტაცია, ვერბალური, წერითი, ინდუქციური, დედუქციური, ანალიზის, სინთეზის, ელექტრონული სწავლების ელემენტები. სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდები კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლების შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ დოქტორანტებთან
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

რეკომენდაციები:

გადამუშავდეს სილაბუსი საგანში „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“. სილაბუსი იყოს პრობლემებზე ორიენტირებული. ასახული იყოს შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა.
საქართველოს ისტორიის სემინარის სილაბუსში აისახოს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

„სემინარ 1“-ში და „სემინარი 2“-ში ჩამოთვლილ თემატიკას მიეთითოს სიტყვა „სავარაუდო“

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. პროგრამა გრძელდება 3 წელი (6 სემესტრი) და 180 კრედიტიანია. კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული **120** კრედიტი მოიცავს:

ა) საკონტაქტო - 187 სთ:

1. კონსულტაციები ხელმძღვანელთან 180 სთ. - სემესტრში 36 სთ. X 5. რაც მოიცავს:

ერთი კვირის განმავლობაში გაწეული კვლევითი სამუშაოს შეჯამებას, სუსტი და ძლიერი მხარეების გამოკვეთას, კვლევის პროცესში არსებული სირთულეების გაანალიზებასა და მათი დაძლევის გზების ძიებას.

2. პრეზენტაცია - 5 სთ. რაც მოიცავს:

ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის შესავალი ნაწილის შესრულების შესახებ - 1 სთ.
ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნის შესახებ - 1 სთ.
ინფორმაციას სადისერტაციო ნაშრომის შედეგების ანალიზისა და განზოგადოების შესახებ 1 სთ.
სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა ისტორიის დეპარტამენტის სხდომაზე - 2 სთ.

3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე- 2 სთ.

ბ) დამოუკიდებელი მუშაობის - 2813 სთ. სულ 3000 საათს.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 180 კრედიტიდან 60 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს. მათ შორის: სავალდებულო კურსები – 45 კრედიტი, არჩევითი/თავისუფალი კურსები – 15 კრედიტი; სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეისწავლება პირველ სამ სემესტრში და მოიცავს 10-10 კრედიტიან ორ დარგობრივ სასწავლო კურსს, 5-5 კრედიტიან ორ დარგობრივ სემინარს, 5 კრედიტიან მეცნიერული კვლევისა და წერის მეთოდებს, 5-5 კრედიტიან პროფესორის ასისტირებას და სწავლების თანამედროვე მეთოდებს. დოქტორანტებთან შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ მათთვის სასურველია სასწავლო კომპონენტის შემცირება, რათა მეტი დრო დარჩეთ დისერტაციაზე სამუშაოდ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაიზარდოს პროგრამაში არჩევითი სასწავლო დისციპლინები. 10-დან 5 კრედიტამდე შემცირდეს ორი დარგობრივი სასწავლო კურსი: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია. ექსპერტების აზრით აუცილებლობას არ წარმოადგენს სტუდენტების საათობრივი დატვირთვა 10 კრედიტის ფარგლებში კვირის განმავლობაში. გამოთავისებული საათები საშუალებას მისცემს სტუდენტს მეტი დრო დაუთმოს კვლევით კომპონენტს. სავალდებულო კურსი: „სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ გაერთიანდეს არჩევით საგანთან „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ და გადავიდეს არჩევით კურსებში. სილაბუსების გაცნობამ აჩვენა, რომ შინაარსის მიხედვით შესაძლოა მოხდეს ამ ორი საგნის კომბინირება და ერთ არჩევით საგნად ჩამოყალიბება. მითუმეტეს, რომ ორივე საგანს კითხულობს ერთი ლექტორი. გამოთავისუფლებული 15 კრედიტი დაემატოს კვლევით კომპონენტს და 120-ის ნაცვლად

გახდეს 135 კრედიტი. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე მიიღებიან არა მხოლოდ ისტორიის, არამედ ნებისმიერი სპეციალობის მაგისტრები, მათ შესწავლილი არ ექნებათ ისეთი საგნები როგორიცაა: ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია და სხვა. შესაბამისად, სასურველია არჩევით ბლოკს დაემატოს აღნიშნული საგნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ თელავის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ვიზიტი ბიბლიოთეკაში ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: 10 კრედიტიანი საგნების შემცირება 5 კრედიტამდე და კვლევითი კომპონენტისატვის 10 კრედიტის დამატება. სავალდებულო კურსი: „სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ გაერთიანდეს არჩევით საგანთან „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კვლევა სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა“ და გადავიდეს არჩევით კურსებში. გამოთავისუფლებული 15 კრედიტი დაემატოს კვლევით კომპონენტს და 120-ის ნაცვლად გახდეს 135 კრედიტი. არჩევით საგნებად დაემატოს: ისტორიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიის ფილოსოფია.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს (თელავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორს და თელავის არქივის დირექტორს). გაირკვა, რომ თელავის არქივი დღემდე წარმოადგენს უნივერსიტეტისათვის პოტენციურ დამსაქმებელს. უნივერსიტეტის არცერთი კურსდამთავრებული ჯერჯერობით არქივში არ დასაქმებულა. ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში არქივის დირექტორი ისურვებდა მათ დასაქმებას. საჯარო სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მასწავლებლების 80% თელავის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. მისი განმარტებით მასწავლებლები თანამედროვე მიდგომებით ხელმძღვანელობენ საგაკვეთილო პროცესის დროს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტურის სრული კურსის წარმატებით დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაშიც დოქტორანტები ვერ შეძლებენ საჯარო და კერძო სკოლებში დასაქმებას მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის ათვისების გარეშე. როგორც ჩანს, დოქტორანტების ან კურსდამთავრებულების უმეტესობა საჯარო და კერძო სკოლებში დასაქმდნენ პროგრამაზე ჩარიცხვამდე. როგორც სკოლებში დასაქმებულმა დოქტორანტებმა განგვიმარტეს, მათი პროგრამაზე ჩაბარების ერთ-ერთი დამატებითი მოტივატორი იყო ფინანსური მხარე. თუმცა, ასევე აღნიშნავენ რომ დოქტურანტურის საფეხურზე მიღებულ ცოდნას ფართოდ იყენებენ პედაგოგიკურ საქმიანობაში. აღსანიშნავია და მისასალმებელი, რომ კურსდამთავრებულთა ნაწილი უნივერსიტეტშია დასაქმებული (მათ შორის წამყვან პოზიციაზე). გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობაზე, არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ ფართო მასშტაბით, სასურველია უნივერსიტეტმა მეტად განავითაროს კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები. ჩვენს მიერ, 1.2 და 1.3 პუნქტში მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში, თელავის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი იქნებიან დასაქმების ბაზარზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ თელავის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან ○ ინტერვიუ დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: უნივერსიტეტი ორიენტირებული უნდა იყოს კურსამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობაზე, არა მარტო კახეთის რეგიონის, არამედ ფართო მასშტაბით.

სასურველია უნივერსიტეტმა მეტად განავითაროს კურსდამთავრებულების დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად მიმდინარეობს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა გამოკითხვა, რომელთა ანალიზი ასახულია პროგრამაში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აღნიშნულ გამოკითხვებს. პროგრამის ხელმძღვანლის განმარტებით, პროგრამის დაგეგმვისა და სწავლის შედეგების განსაზღვრაში ჩართული არიან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები და მოწვეული ექსპერტები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან, ასევე, დოქტორანტების ოპონენტები და ხელმძღვანელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან ○ თვითშეფასების ანგარიში ○ თელავის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება აპლიკანტი, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი; მისაღებ გამოცდებზე აპლიკანტს მოეთხოვება ინგლისური ან რუსული ენის B2 დონეზე ცოდნა. ევროპული ენების მაგალითად ფრანგულის, გერმანულის, ესპანურის და ა.შ. მცოდნე აპლიკანტებს პროგრამაზე ჩაბარების შესაძლებლობა არ აქვთ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მათ არ ჰყავთ ფრანგულის, გერმანულის, ესპანურის მცოდნე კვალიფიციური კადრები, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფენ ამ ენებში მისაღები გამოცდების ორგანიზებას. ვფიქრობთ, რომ სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია დროებითი კომისიის ორგანიზება მისაღები გამოცდა/გასაუბრების ჩასატარებლად. ამავე დროს, უნივერსიტეტს აქვს მისასალმებელი ამბიციები, რაც აღნიშნულია განვითარების გეგმაში:
- ✓ პროგრამისა და ინტენრაციონალიზაციის ხარისხის მუდმივი ამაღლება;
- ✓ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
- ✓ სადოქტორო დონეზე ანალოგიური უცხოენოვანი პროგრამის შექმნის პერსპექტივა;
- ✓ მეტი უცხოელი პარტნიორი უნივერსიტეტის მოძიება;
- ✓ მეტი ადგილობრივ და უცხოელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ✓ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შექმნა.

პროგრამით გათვალისწინებულ შედეგზე გასვლა მხოლოდ რუსული ენის ცოდნით შეუძლებელია. შესაბამისად სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდეს მხოლოდ ინგლისური, ფრანგული, ან გერმანული ენის B2 დონეზე ცოდნის შემთხვევაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პერსპექტივაში მოსალოდნელია დოქტურანტურაში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიღება (ჩრდ. კავკასიიდან) და ამის გათვალისწინებით არის ჩასმული რუსული ენა. ამავე დროს წარმოდგენილ პროგრამაში მითითებულია, რომ სწავლების ენა არის ქართული. ამ ლოგიკით აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი პროგრამის პოტენციური სტუდენტი უნდა ფლობდეს ქართულ ენას. ამავე დროს, მინიმუმ ინგლისური ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე დონის ისტორიკოსის მომზადება. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლების ენა ქართულია, სასურველია პროგრამაში ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე ქართული ენას ფლობდეს B2 დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ○ პროგრამა
- ○ თვითშეფასების ანგარიში
- ○ თელავის უნივერსიტეტის დოკუმენტაცია
- ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან
- ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან
  ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

პროგრამაზე მიღების წინაპირობაში ჩაიდოს მხოლოდ ინგლისური, ფრანგული, ან გერმანული ენის სავალდებულო ცოდნა B-2-ის დონეზე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამაში ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის მოქალაქე აპლიკანტებისათვის დაწესდეს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და აქტივობები. სწავლის მეთოდები მორგებულია კომპონენტის შინაარსსა და სპეციფიკას. სწავლებისას გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სასურველი იქნება ფართოდ დაინერგოს სწავლებისას აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველი იქნება ფართოდ დაინერგოს სწავლებისას აუდიო და ვიდეო მასალების

გამოყენება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული საგნის სილაბუში მითითებულია აღნიშნულ კურსზე დაშვების წინაპირობა. სადისერტაციო ნაშრომის სილაბუსში მითითებულია, რომ დაცვაზე სტუდენტი დაიშვება თუ შესრულებული აქვს ე.წ. მინიმალური სტანდარტი - სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებული უნდა იყოს არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით, რეფერირებად ჟურნალში. აქედან, სავალდებულოა ერთი მაინც გამოქვეყნებული იყოს უცხოეთის რეფერირებად და/ან იმპაქტ ფაქტორის ხარისხის მქონე ჟურნალში და ერთიც წარდგენილი იყოს კონფერენციაზე დისერტანტის მიერ და გამოქვეყნებული კონფერენციის შრომების კრებულში. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ სილაბუსები ○ ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ECTS შესაბამისად, 100 ქულიანი სისტემით. კვლევითი კომპონენტის (სადისერტაციო ნაშრომი) შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) სადისერტაციო კოლეგიის მიერ. ექსპერტებისთვის მოწოდებულ დოკუმენტში დისერტაციის მოცულობის მინიმალურ რაოდენობად 100 გვერდია მითითებული, რაც ისტორიაში შესრულებული სადისერტაციო ნაშრომისთვის ვფიქრობთ რომ ცოტაა (შესავალი, ისტორიოგრაფიული და წყართმცოდნეობითი ნაწილის მიმოხილვა, ლიტერატურის ჩამონათვალი მინიმუმ 20 გვერდს მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში დისერტაციის ძირითადი ნაწილისათვის დარჩება 80 გვერდი). თუმცა პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აქ შეცდომაა გაპარული და 130 გვერდი უნდა ეწეროს 100 ნაცვლად. ამასვე ადასტურებს თელავის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ: ოქმი 19, 25.07.17), სადაც სადისერტაციო ნაშრომის ზღვრულ მოცულობად განსაზღვრულია 130-200 გვერდი, დანართისა და ციტირებული ლიტერატურის გარეშე (გვ. 12).

ექსპერტებისთვის მოწოდებულ დოკუმენტში არის ასევე ასეთი ჩანაწერი: „იმ შემთხვევაში, თუ ერთი რეცენზენტი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს დადებითად, ხოლო მეორე უარყოფითად, დისერტანტი მაინც დაიშვება საჯარო დაცვაზე. ხოლო ორივეს უარის შემთხვევაში გადაეცემა მესამე შემფასებელს/რეცენზენტს. რომელსაც ასევე 1 თვის ვადა ექნება დასკვნის წარმოდგენისთვის. დადებითი რეცენზიის შემთხვევაში დისერტანტი დაიშვება დაცვაზე“. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აქაც შეცდომაა გაპარული, რაც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებითაც (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ: ოქმი 19, 25.07.17), დასტურდება. დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით თუ რეცენზენტთა დასკვნები ერთმანეთისაგან განსხვავდება, მაშინ ნაშრომი გადაეცემა მესამე რეცენზენტს შესაფასებლად 1 თვის ვადით (გვ. 13). ამავე დებულების მე-11 მუხლის მიხედვით ნაშრომის დაცვამდე დისერტანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს ნაშრომს და ავტორეფერატს, რომელიც ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე ასატვირთად (გვ. 12). მიუხედავად იმისა რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ავტორეფერატი ხელმისაწვდომი იქნება, სასურველია, დისერტანტის მიერ ავტორეფერატის სხვა უნივერსიტეტებში და დაწესებულებებში დაგზავნა, რადგან, სადისერტაციო თემატიკით დაინტერესებული სპეციალისტები მეტად მოახერხებენ ავტორეფერატის გაცნობას. ამდენად უმჯობესია, დისერტანტისათვის სავალდებულო გახდეს ავტორეფერატის დაგზავნა საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში და ბიბლიოთეკებში.

სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსიდან, პედაგოგისაგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ, მათ საშუალებას მისცემთ გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე.

ამავე დროს, სილაბუსების გაცნობამ აჩვენა რომ შეფასების კრიტერიუმები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. სასურველია, ყოველი საგნის სპეციპიკადან გამომდინარე იყოს შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
- ინტერვიუ დოქტორანტებთან

○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: მოხდეს შეფასების მეთოდების/კრიტერიუმების დივერსიფიკაცია საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დისერტანტმა ავტორეფერატი დააგზავნოს საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებსა და ბიბლიოთეკებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებს საშუალება აქვთ ინფორმაცია ცოდნის შეფასების შესახებ მიიღონ კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამიდან (სილაბუსიდან), საგნის პედაგოგისაგან ან პროგრამის ხელმძღვანელისგან. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ მათ საშუალებას მისცემთ გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან ○ ინტერვიუ დოქტორანტებთან ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან ○ სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სასწავლო-დამხმარე პერსონალთან ინტერვიუსა და უნივერსიტეტის სასწავლო სივრცის დათვალიერების შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული პუნქტის მოთხოვნას თელავის უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დადებითად აფასებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თელავის უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე არსებული მდგომარეობა. სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სასწავლო-კვლევითი მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა საშუალებებით. ამ მიმართულებით სტუდენტებს აქვთ კონსულტაციები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ლექტორებთან და კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელებთან, როგორც პირადად, უშუალო, ისე დისტანციური ფორმით. ასევე, ამ მხრივ სტუდენტებს დახმარებას უწევს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, სხვა საინფორმაციო ბაზები, სწავლის პროცესის დაგეგმვა-მართვის დისტანციური საშუალებები. სტუდენტები ინფორმირებულები არიან საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და კონფერენციების შესახებ. უნივერსიტეტს გააჩნია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ეტაპობრივად ივსება უახლესი ლიტერატურით. სასურველი ლიტერატურის მოსაძიებლად სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგებით. სტუდენტებს უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ სხვადასხვა საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებთან სასურველი სამეცნიერო ლიტერატურის გასაცნობად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ მოქმედ სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან

- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო დაფები
- ადგილზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის დათვალიერება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თელავის უნივერსიტეტის ხარისისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შედგენილი, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას, ასევე სხვა სახის აქტივობებს.

უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტთა უშუალო ხელმძღვანელები ვალდებული არიან სტუდენტებს გაუწიონ კონსულტაციები, სტუდენტთა სწავლებისა და კვლევის სხვადასხვა ეტაპების საჭიროებიდან გამომდინარე ჩაატარონ მათთან ინდივიდუალური შეხვედრები.

გამოკითხულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიხედვით მათ მუდმივი კავშირი აქვთ და იღებენ შესაბამის დახმარებას ამ კუთხით. მოწვეული ლექტორებისა და თემის უშუალო ხელმძღვანელების არსებობის შემთხვევაში შედარებით მეტი დატვირთვა მოდის დისტანციური სახის კავშირზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის ამჟამინდელ სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ○ სტუდენტებთან შეხვედრების გრაფიკი, უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო დაფები ○ პროგრამის სილაბუსები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ასევე, სტუდენტებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია ითქვას რომ უნივერსიტეტი სხვადასხვა საშუალებებით ხელს უწყობს პროგამის სტუდენტ-მკვლევართა ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტი ასევე აფინანსებს რამდენიმე კვლევით პროექტს რომელიც ადგილობრივ, რეგიონის ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობის - საქალაქო ურბანისტიკის განვითარებას, დროში წარმოშობილ ცვლილებებს და არსებული პრობლემური საკითხების კვლევას ეხება. მსგავს კვლევით პროექტებში პროგრამის სტუდენტების ჩართულობა მომავალშიც სასურველია, გამომდინარე იქიდან რომ იძლევა დამატებით საშულებას სტუდენტებმა განავითარონ სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტს გააჩნია გამოცდილება და ახორციელებს სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს, რომლებშიც მონაწილეობენ დოქტორანტები. მათი მოხსენებები იბეჭდება კონფერენციების მასალებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის ამჟამინდელ სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან ○ უნივერსიტეტის შრომების, კონფერენციის მასალების კრებული ○ სტუდენტთა სამეცნიერო სტატიები და კურსდამთავრებულთა სადისერტაციო ნაშრომები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა გაცვლით, საერთაშორისო პროგრამებში.

სტუდენტებს შუძლიათ აწარმოონ სამეცნიერო კვლევა (პროგრამის, პროექტის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით ან საკუთარი ხარჯებით).

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ სპეციალობის მიხედვით დასაქმდნენ.

გაცვლითი პროგრამების განხორციელებას ხელს უწყობს იკობ გოგოებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან დადებული ხელშეკრულება-მემორანდურები.

თუმცა, უნდა შევნიშნოთ რომ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, მათ შორის კვალიფიკაცის ასამაღლებელ ტრენინგებში, მეტწილად ჩართული არიან უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ხოლო ნაკლებად პროგრამის სტუდენტები. ინტერვიუში სტუდენტები მათ დაბალ აქტივობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის კუთხით სასწავლო პროცესით დაკავებულობითა და დატვირთული სამუშაო (სრული უმრავლესობა სწავლის პარალელურად დასაქმებულია) გრაფიკით გამოწვეული დროის სიმწირით ხსნიან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები.
- თელავის უნივერსიტეტის ვებგვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია საერთაშორისო-გაცვლით პროგრამებზე და მასში მონაწილე სტუდენტების და პერსონალის მონაცემები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ უცხოელი, დარგის სპეციალისტების მოზიდვა სალექციო კურსის, სემინარების, ვორკშოპების, განხორციელების მიზნით. ○ სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების აქტიური ხელშეწყობა (მათ შორის უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანალიზზე დაყრდნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციის, ფაკულტეტის, სტუდენტებისა და

კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ საფუძველი მოგვცა აღგვენიშნა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სასწავლო აუდიტორიები, ტექნიკური აღჭურვილობა, კომუნიკაციები და ინტერიერი, ბიბლიოთეკა აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერება ○ ვიზიტი ბიბლიოთეკაში ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის (აკადემიური პერსონალის მონაცემები) შესწავლისა და პროფესურასთან შეხვედრამ დაადასტურა აკადემიური პერსონალის კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამაში ჩართულია 7 პირი. ისინი არიან თელავის უნივერსიტეტის სხვადასხვა რანგის პროფესორები. მოწვეული პროფესურა არა ჰყავთ, თუმცა დოქტორანტების ხელმძღვანელად/თანახელმძღვანელად იწვევენ სხვა სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებსაც.

პროფესურის ბიოგრაფიების და ბოლო 10 წლის განმავლობაში მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა ასაბუთებს აკადემიური პერსონალის შესაბამისობას პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის გზაზე.

ასევე, აკადემიური პერსონალის რაოდენობა თანხვდენილია მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან, რაც პროგრამის მდგრადობას ადასტურებს.

პროგრამაში ჩართული პროფესურის კვლევის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოსა და მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატიკას.

ამავე დროს, სასურველია ცალკეული პროფესორების მეტი აქტიურობა ინტერნაციონალიზაციის მხრივ, რათა მათი პუბლიკაციების გეოგრაფია არ შემოიფარგლებოდეს რუსეთით და აზერბაიჯანით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- ინტერვიუები ფაკულტეტისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, ასევე დოქტორანტების ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია აკადემიური პერსონალის ნაწილმა (ორი პროფესორი), კიდევ უფრო გააფართოვოს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციების გეოგრაფიული ჩარჩოები და არ შემოიფარგლოს რუსეთის ფედერაციით და აზერბაიჯანით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და მისი რესურსები ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის სახით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ეხმარებიან ფაკულტეტსა და პროგრამის უშუალო განმახორციელებლებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ○ თვითშეფასების ანალიზი ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისა და პროგრამის თვითშეფასების ანალიზის, ინტერვიუებისა და წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლამ ცხადყო, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალები და ლიტერატურა ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ფონდით, აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული რესურსებით, გამოიყენონ ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები.
სილაბუსში საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია წარმოდგენილი ლიტერატურა არ არის საკმარისი შედეგების მისაღწევად, რაც შეხვედრების დროს აღინიშნა კიდეც. აუცილებელი და დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალში აკლია დარგის ცნობილი სპეციალისტების ნაშრომები და ხშირ შემთხვევაში ნახსენებია მოძველებული და გამოუსადეგარი მასალები. პრაქტიკულად არ არის წარმოდგენილი საქართველოს მე-20 საუკუნის ამსახველი პირველწყაროები, რაც შეუძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას.
ამავე დროს შეხვედრის დროს გაირკვა, რომ ლიტერატურა უკვე შეძენილია და უმოკლეს ვადაში ასახვას პოვებს სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა
- თვითშეფასების ანალიზი
- სილაბუსები
- ინტერვიუები
- ბიბლიოთეკის კატალოგები და ელ.რესურსები

რეკომენდაციები:

მოძველებული ლიტერატურის ჩანაცვლება და ასახვა სილაბუსებში.

პირველწყაროების აქტიური გამოყენება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიაში და სემინარი I-ში და ასახვა სილაბუსებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დაფინანსება გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. თუმცა არ არის ამ პროგრამის ინდივიდუალური ბიუჯეტი, რაც დაადასტურებდა მის მდგრადობას და გაითვალისწინებდა რისკებსაც. ამავე დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ფინანსურ ადმინისტრაციას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს პროგრამის მონაწილეთა ხელფასებს, სხვადასხვა მომსახურების ხარჯებს და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ინდივიდუალური ბიუჯეტის შემუშავება შესაძლო რისკების გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია სწავლების ხარისხის სრულყოფის გეგმა, რომლიც საჯაროდ ხელმისაწვდომია. სტრატეგიული გეგმის მიზანია სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება. მნიშვნელოვანი მხარეა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და მართვაში სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობა. თელავის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მისი მუშაობა განსაზღვრულია სამსახურის დებულებით. შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შეფასების წესი.

კითხვარების საშუალებით შესაძლებელია სტუდენტთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით დგება სტატისტიკა. გამოკითხვის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან ○ ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან ○ ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ თელავის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, მასზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია ○ სტუდენთა, კურსამთავრებულთა, აკად. პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ბარათები ○ გამოკითხვის შედეგების სტატისტიკა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასწავლო პროგრამებისა და პროგრამის სილაბუსების შეფასების მიზნით სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკად. პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის საშუალებაა კითხვარ-ბარათები. სასურველია, ასევე, მსგავსი გამოკითხვის კითხვარების შევსება შესაძლებელი იყოს დისტანციურად ონლაინ, ელექტრონული სახით, რომელიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თელავის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით სადოქტორო პროგრამა აკრედიტაციაზე წარდგენამდე განიხილებოდა უნივერსიტეტის განათლების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების შესაბამისი დარგების სპეციალისტების მიერ. გათვალისწინებული იყო სპეციალისტების რეკომენდაციები ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე პროგრამის განხილვისას.
პროგრამის დახვეწაში უნივერსიტეტს კონსულტაციას უწევდნენ დარგის სპეციალისტები (სხვა უნივერსიტეტებიდან).
პროგრამა განხილული, შეფასებული და რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ.
თელავის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შიდა შეფასება ხდება განსაზღვრული გამოკითხვის ფორმების საშუალებით. პროგრამებს, ასევე, აფასებენ სტუდენტები სპეციალური კითხვარების შევსების საშუალებით. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასების შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იმუშავებს პროგრამის განვითარების გეგმას.
აღსანიშნავია, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენელ პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- თელავის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, მასზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია
- სტუდენთა, კურსამთავრებულთა, აკად. პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ბარათები
- გამოკითხვის შედეგების სტატისტიკა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ახალი და უახლესი ისტორია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **41**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		
საბოლოო შეფასება		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ახალი და უახლესი ისტორია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **41**

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია		
საბოლოო შეფასება		ნაწილობრივ შესაბამისობაშია	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: